ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 77-17

19 მარტი
"---" -------- 2021 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისშესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1
შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge , გამოქვეყნების თარიღი 30/12/2020, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.016811) და დადგენილებისპირველი მუხლის„ე" ქვეპუნქტით დამტკიცებული„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №5) მე 9 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი" (დოზა - 420 მგ/14მლ (30მგ/მლ) 14 მლ კონცენტრატი ი.ვ. საინფუზიო ხსნარის მოსამზადებლად ფლაკონი№1) კომბინაციის შემთხვევაში, 1 ფლაკონი „პერტუზუმაბისა" და მოსარგებლის საჭიროებიდან გამომდინარე „ტრასტუზუმაბის", „ფესგოს"(დოზა - (600მგ+600მგ+20,000ერთეული)/10მლ 10 კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1 ან (1200მგ+600მგ+30,000ერთეული)/15მლ 15 კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1)შესაბამისი რაოდენობის ფლაკონების ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს 4695 ლარის ტარიფით მიწოდება;".

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე